საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №156

თბილისი „22“ 02 2018წ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 02 თებერვლის N87 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „ყ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2018 წლის 20 თებერვლის N187437 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 02 თებერვლის N87 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში გამოცხადდეს კონკურსი და საკონკურსო განაცხადების მიღების ვადად განისაზღვროს 2018 წლის 22 თებერვლიდან 2018 წლის 22 მარტის ჩათვლით არსებული პერიოდი.

2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

მიხეილ ჩხენკელი